KA030188293286617

№ 01-20413 **21 / სექტემბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს
მინისტრის მოადგილის
ზაზა სოფრომაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ 2017 წლის 14 სექტემბრის N 12/2028 წერილით მოგვმართა სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრმა“ (შემდგომში - ცენტრი) რომელიც გეგმავს კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობებისა და რვა ერთეული პერსონალური კომპიუტერის შესყიდვას.

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილების მე-18 დანართის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცენტრი ახორციელებს გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევას. სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის გამოძახებისას ინიციატორის მიერ შემოსული ინფორმაცია და ზარის ჩანაწერი, აისახება სსიპ „112“-ის ელექტრონულ სისტემაში და შემდეგ, ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის მეშვეობით ხვდება ცენტრის სადისპეტჩეროს მართვის ელექტრონულ მოდულში. მიღებულ ინფორმაციას ცენტრის ოპერატორები ამუშავებენ და გამოძახებას გადასცემენ შესაბამის უახლოეს ბრიგადებს. გამოძახებების მიღებისა და მართვის ელექტრონული სისტემა მუშაობს ცენტრის საკუთრებაში არსებულ სერვერებზე. შემოსული ინფორმაცია, მათ შორის, ზარების ჩანაწერები ინახება აღნიშნულ სერვერებზე. ვინაიდან, ყოველდღიურად გამოძახებათა საშუალო რაოდენობა აღწევს 1900 ერთეულს, ინფორმაციის მატებასთან ერთად, სერვერების დატვირთვა დღითიდღე იზრდება. ამასთან, 65 რაიონში განთავსებული ცენტრის ფილიალები, ინფორმაციის დამუშავებისა და გაცვლის მიზნით, თხელი კლიენტების მეშვეობით მუდმივად უკავშირდებიან ცენტრში განთავსებულ სერვერებს, რაც დამატებით ტვირთავს მათ. ამას გარდა, „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილების თანახმად, 2017 წლის 1 ივნისიდან ცენტრი გახდა „სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების“ რეფერალური პროგრამის განმახორციელებელი. ხოლო, მომსახურების მიმწოდებელია სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება. რეფერალური დახმარების მიმწოდებელი დეტალურად ასახავს სამედიცინო შემთხვევის შესახებ ინფორმაციას „კატასტროფის მართვის ელექტრონულ სისტემაში“, რომელიც ასევე დაკავშირებულია ცენტრის სერვერთან. რეფერალური პროგრამის მართვის ფარგლებში გამოძახებათა რაოდენობა მატულობს, ელექტრონული არქივები ყოველდღიურად იზრდება და არსებობს დიდი რაოდენობის ინფორმაციის გადამუშავების საჭიროება, რაც ზრდის სერვერების დატვირთვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს სერვერების განადგურების ან/და დაზიანების რისკი. მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ცენტრი ვერ განახორციელებს სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარების მომსახურების მიწოდებას, რაც საბოლოო ჯამში დასრულდება ლეტალური შედეგით. ამ დროისთვის, სტაბილურად ვერ ხერხდება სარეზერვო არქივების შექმნა, ამასთან სერვერის დაზიანების შემთხვევაში არსებობს საშიშროება, რომ განადგურდეს ცენტრის ელექტრონული არქივები, სერვერების ინფრასტრუქტურა და შეიზღუდოს ცენტრსა და რაიონულ ოფისებს შორის ინფორმაციის სტაბილური გაცვლა. იმისათვის, რომ ცენტრმა ყოველგვარი შეფერხების გარეშე, რეგულარულად მიიღოს და გადაამუშაოს ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში მომხდარი შემთხვევების: ჰოსპიტალიზაციების, საგანგებო შემთხვევებისა და ნებისმიერი არასტანდარტული გარემოების შესახებ, მოახდინოს სათანადო რეაგირება და შემდგომში მოამზადოს ჩატარებული სამუშაოების შესახებ ანგარიში, საჭიროა შემცირდეს სერვერების დატვირთვა “San”-ის და “Nas”-ის ტიპის მონაცემთა სანახების სისტემების (Storage) შესყიდვით. სანახების სისტემების მეშვეობით შესაძლებელი გახდება გადამუშავდეს დიდი მოცულობის ინფორმაცია და განხორციელდეს შემოსული ზარების მონიტორინგი. სერვერების ფიზიკური ან/და პროგრამული დაზიანების შემთხვევაში საჭიროა სერვერული ტიპის მუდმივი კვების წყაროს (UPS), ხოლო ლოკალური ქსელის გამართვისთვის გარე ვინჩესტერის, არსებულ სერვერებთან თავსებადი ოპერატიული მეხსიერებებისა და მყარი დისკების შესყიდვა.

გარდა ამისა, სსიპ ცენტრის ეფექტურად ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით ანალიტიკური დეპარტამენტი უზრუნველყოფს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ მონაცემთა დამუშავებასა და სისტემატიზაციას კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შესყიდული პერსონალური კომპიუტერების საშუალებით. თუმცა, გამოძახებებისას მიღებული ინფორმაციის სინქრონიზაციის, ცენტრის წინაშე არსებული რისკ-

ფაქტორების ანალიზისა და მათი გამოვლენის ეფექტიანი სისტემის შექმნის, დიდი მოცულობის სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზისთვის საჭირო ტექნიკური მხარდაჭერა კონსოლიდირებული ტენდერით შესყიდულ სტანდარტულ კომპიუტერებს არ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის საქმიანობის ზოგადი და მოთხოვნილი თემატიკის მიხედვით, საჭიროა მძლავრი ტექნიკური მონაცემების მქონე რვა ერთეული პერსონალური კომპიუტერის შესყიდვა.

შესყიდვები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

ამასთან, „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის N33 დადგენილებით, განისაზღვრა კლასიფიკატორის კოდების ჩამონათვალი, რომელთა მიხედვით შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღების (სათანადო სამართლებრივი აქტის გამოცემის) შემდგომ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის” მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით წინასწარი თანხმობის მიცემის თაობაზე (გამნარტემით ბარათთან ერთად).
თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს, განახორციელოს შესაბამისი პროცედურები რათა თანდართული განკარგულების პროექტი წარდგენილი იქნას საქართველოს მთავრობის უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბერძული